წლიწადი I-ლი

შაბათი, 16 ოქტომბერი

ფასი 15 მან.

ბათომის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურად . . . . 300 მან.

განცხადების ფასი:

1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 20 მან.

4 " " " . . . 15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებ.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთად.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზედ № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაევსკის სახლში 1 საათ. საღ. 5 ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 30 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 30

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“

ნ. დ. ბროძალ-სხირტლაძის

ოთხშაბათიდან 7 ოქტომბრიდან 1920 წ. იქნება ნაჩვენები პირველად ბათომში,

ტრიუმფი! გრანდიოზული პროგრამა **ტრიუმფი!**

||| კალიფორნიის გმირი |||

კინო-დრამა 5 განყ. მთავარ როლში ცნობილი კამილო აპოლლონი.

დასასრული **სამინელი ურაგანი.** სანახაობა.

ანონსი: ორშაბათიდან 18 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება კინემატოგრაფიის შედევრი **ცეცხლის თაყვანისმცემლები.** — დრამა 6 დიდ ნაწილად. — ამ სურათზე ცნობილმა იმპროვიზატორმა ი. ნ. ხუდიაკოვმა სპეციალურად დასწერა მუსიკა.

ღია ჰაერზე, ახალი სპეციალური საზაფხულო ელექტრო თეატრი

„ტ რ ი უ მ ფ ი“

ნ. ბროვალ-სხირტლაძის

სურათები იჩვენება ყველა ნაირ ამინდში, სურათების ჩვენების დროს უკრავს პირველი ხარისხოვანი მუსიკა, რომელთაც ხელმძღვან. ტრიო რუდკოვსკი

ხუთშაბათიდან, 1920 წლის 14 ოქტომბრიდან საუცხოვო პროგრამა „რუსული ოქროს სერიიდან“

დააქორწინა ისინი სატანამ

დრ. 5 ნაწილად.

1 ნაწ.—გიპნოზის ძალით. 2 ნაწ.—დიდი განგების ძალა.
3 ნაწ.—ზეციდან უფსკრულისკენ. 4 ნაწ.—ბოროტების წყვდიადში.
5 სიკვდილის ზეიმი.

დასასრულ **მაქს ლინდერის თამბაქოს მოწევა.**

ანონსი: მზადდება საჩვენებლად **ანა კარენინა.**

„დედათა და ბავშვთა დაცვის დღე“

კვირას 17 ოქტომბერს ბათომში მოეწყობა «დედათა და ბავშვთა დაცვის დღე».

— დ ღ ი ს ი თ —

თეატრ «აპოლოში»

სახალხო ლატარია.

— ს ა ღ ა მ ო ს —

საზოგადო საკრებულოს ზალებში

კონცერტი—კაბარე.

საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

დასაწყისი საღ. 10 საათზე.

შემოწირულებათა მიღება ლატარიისათვის სწარმოებს საგანგებო კომისარის ბინაზე (ზღვის და სმეკალოვის ქუჩების კუთხე) მდივანის ასულთან. მაგიდების წინასწარ დაკვეთა შეძლ. გაზ. «ეხობატ.» რედ.

შემოსავლის ნახევარი გადაიდება მიწის ძვრისგან დაზარალებულთა და ფრონტზე დაღუპულ სახალხო გვარდიელების დაჯარის-კაცთა ბავშვებისათვის, რომლებიც საზოგადოების მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან თბილისში; მეორე ნახევარი გადაიდება საზოგადოების ბათომის განყოფილებისათვის.

საღამოს დიასახლისი, საზოგადოების თავმჯდომარე **ინა ივანეს ასული ჟორდანიასი**

საქართველოს სოც. დემოკრატიულ მუშათა პარტიის

ბათომის კომიტეტი

აცხადებს პარტიის წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას 17 ოქტომბერს, გამყრელიძის ცირკში დილის 10 საათზე დანიშნულია პარტიის წევრთა

საზოგადო კრება.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება მომენტზე—გ. ანჯაფარიძე და ?იოლლო, 2) შრომის კომისარის —ა. წულაძის მოხსენება, 3) კ. გოგოლაძის მოხსენება კომიტეტის მოქმედების შესახებ, 4) არჩევნები კომიტეტის წევრების და 5) მიმდინარე კითხვები.

კომიტეტი

საქართველოს სოც. ფედერალისტთა სარ. პარტია

შაბათს, 16 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია

პარტიული კრება.

მოხსენებას წაიკითხავს დამფუძნებელი კრების წევრი ამხ.

სიმონ მდივანი

საკონფერენციო და სხვა საკითხებზე.

ამხანაგებისათვის დასწრება აუცილებელია.

საქ. სოც. ფედ. სარ. პარტიის ბათომის კომიტეტი.

ოლღას და შეპელევის ქუჩის კუთხეში ქალთა წრის გამგეობის მიერ

გაიხსნა

ლოტო

საქველმოქმედო მიზნით.

გახსნის პირველ დღედ დანიშნულია შაბათი 16 ოქტ.

ლოტო ღია იქნება საღამოს 7—11 საათ.

შმაევსკის თეატრი

| სახალხო წარმოდგ. მმართველი წრე |

№ 5.

კვირა, 17 ოქტომბერი.

წარმოდგენილ იქნება

ტრ. რამიშვილის

||| სტუმარ-მასპინძლობა. |||

კომ. 3 მოქმედებათ.

რეჟისორი ივ. ბარველი.

მონაწილეობენ: აბაკელია ქ., ბარველი ივ., ბარათაშვილი ე., ვადაჭკორია ფ., ნასარიძე წ., მარგველაშვილი ვ., მდივანი მ., მაღალაშვილი ნ., ძნელაძე დ., ლამბაშიძე შ., ხარაბაძე ს., ხონელი ბ., ქურული გ.,

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზე.

შემდეგი წარმოდგენა შაბათს, 23 ოქტომბერს მზადდება ცნობილი პიესა **გუცკოვისა «ურიელ...»** — (printed: **ბერშტეინისა «ქ უ რ დ ი».**)

სახ. წარმ. მმართველი წრის ადმ-ცია.

საქართველოს სახელმწიფო

ბანკის ბათომის

განყოფილება

ხსნის თავის ოპერაციებს 18 ოქტომბრიდან. ბანკის სალარო ღია იქნება 10—1 საათამდე. მოქალაქენი, რომელთაც სურთ მიიღონ კრედიტი ბანკში, შეუძლიანთ შემოიტანონ განცხადება კრედიტის გახსნის შესახებ 15 ოქტომბრიდან. ბანკის შენობა—დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა № 8.

ბათუმი 16 ოქტომბერი.

ავტონომიის საკითხს ზოგი ჩვენი თანამემამულე პრობლემად სთვლის, ზოგი კი მის დეკლარაციულ გამოცხადებას დაუყონებლივ მოითხოვს, რითაც მათი აზრით ბედნიერება მიენიჭება მხარეს. პირველნიც და მეორენიც სცდებიან.

ავტონომია თუ გააბედნიერებს ჩვენ ხალხს მის შემოღებას დემოკრატია ერთი საათითაც არ დაახანებს.

საპრობლემო აქ ვის რა აქვს?

ოლქში თუ დღეს მცხოვრებნი გულნაკლულნი, შეწუხებულნი არიან უპურობით, უექიმობით უგზოობით, სამეურნეო მანქანების უქონლობით და ყაჩაღ ავაზაკთა თარეშით, განა ყველაფერი ეს შეუძლია გააქროს ამ მხარის ავტონომიურმა სახელწოდებამ?

არა და არა.

დროებითი საგანგებო მმართველობა, რომლის სათავეში მდგომნი დღე და ღამე უძილოდ არიან, ყველა ზემო ხსენებულზე ზრუნავს. და ბოლოს რაც აქ კეთდება ეს სამზადისია, ნიადაგის დამკვიდრებაა მუდმივ მმართველობისთვის ავტონომიისთვის.

ავტონომია მდგომარეობის საქმეა, მანამდე, სანამ არ გამორკვეულა დამოკიდებულება ერთ მორწმუნე ოსმალეთთან, რომელსაც დღეს ორი თუ სამი მთავრობა ჰყავს, სახიფათოა ამ მხარეში რაიმე პოლიტიკურ ნაბიჯის გადადგმა. და აქ ბუნდოვანად გამოთქმული აზრი ყველამ უწყის თუ რაში მდგომარეობს.

ქემალ ფაშამ სომხეთს შეუტია და ამ მოვლენამ სამუსლიმანო საქართველოში ისეთივე პოზიციაზე უნდა დააყენოს ხალხი, როგორსაც მთელ საქართველოში დაადგენ. და თუ ეს ასე არ იქნება, მაშინ ჩვენ მივბდებით რომ ხალხს კვლავ აცდენენ ბედის მაძიებელნი, განსაკუთრებით ის წვრილფეხანი, რომლებიც ავტონომიას თავის გამოსაჩენ საშუალებად და შემოსავლის წყაროდ სთვლიან.

ქემალ ფაშას მოაქვს ულელი ბოლშევიკ რუსების, რომელმაც მუსლიმანური აზერბაიჯანი დააქცია და ყმად გაიხადა.

შეიძლება ვისმეს ჰგონია, რომ ქემალ ფაშას აქვს მუსლიმანებში შანსები სიმპატიებისა, რადგან იგი ისლამის მორწმუნეთა.

სასაცილო იქნება. ქემალ ფაშამ მიაფურთხა ისლამის სჯულს, როცა სულთანის ირადეს მურტალი უწოდა და ბოლშევიკებს შეუკავშირდა, ამ სარწმუნოების უდიდეს მტრებს, რომელთაც ყაზანში მუსლიმანების მეჩეთები დაანგრევინეს.

სარწმუნოებით დღეს არავინ ხელმძღვანელობს.

ქემალ ფაშას და ბოლშევიკებს პოლიტიკური საქმე აქვთ: ქემალ ფაშა, როგორც ისლამის მორწმუნე სიმპატიებს ვერავიში გამოიწვევს.

ავანტურისტებს შესაძლოა მოუვიდეთ მადა ამ მოვლენათა გადიშლის დროს, მაგრამ ვაი იმ ავანტიურისტს, ვინც საკუთარ ბედნიერების მდევარი, ხალხს დაუპირებს დაღუპვას. ჩვენ არ ვმალავთ, რომ აქ ჩვენ შიგნით ტაშის დამკვრელი ბევრი ეყოლება გაბრიყვებულ ჯგუფებს, მაგრამ უნდა იცოდენ მათ, რომ ეს მეტაშეობა სარკასტიული აქტი იქნება ამ მტრებისგან.

ის ვინც დღეს თავის შავი ენით ხალხში გავა და ავტონომიის ხსენებით პროვოკაციას გასწევს, ხალხის მტერია, იუდა ფარისეველია და ამ ხალხის რისხვას ვერ გადაურჩება.

ჩვენი ვალია ვიჩქაროთ მუშაობაში, სიფხიზლე შევიტანოთ ხალხში, სიმართლე ვასმინოთ მას. ამ მიზნის მიღწევისთვის ნურავითარ მსხვერპლს ნუ დავერიდებით.

და თუ ხალხს სერიოზულად სწადია ავტონომიის ბედი გაიგოს, ეს დამფუძნებელი კრების საქმე იყოს დაარის, რომელმაც ავტონომია მიიღოს ჩვენ მხარისთვის.

პროვოკაციების ნაცვლად ახლა ჩვენ უნდა ვმუშაობდეთ ამ ავტონომიის შესახვედრად, რომ არ შევრცხვეთ მის შემოღების დროს და მტრებს—რა ღირსი ხარო ავტონომიისო—არ დავაძახებიოთ.

ბათომის ოლქის მმართველობის გარშემო.

ასეული წლობით ბათომის ოლქი ოსმალეთის გავლენის ქვეშ იყო, ოსმალთა მთელი სინამდვილე აჭარას საქართველოს აშორებდა და აჭარელთა გულში ჩვენდამი მტრობას და სიძულვილს სთესდა. მართალია, აჭარელ ოჯახში კიდევ გაისმის ქართული სიტყვა, აჭარელი დედა თავის პირშოს ნანას უგალობს, მაგრამ ქართული მეტყველება ალარ არის გამომხატველი იმ ტკბილი გრძნობის, რომელიც ატკბობს ყველას და ჰატიოსან პატრიოტულ ექსტაზში ეროვნულ მთლიანობას ამტკიცებს.

აჭარა დაკარგულია გრძნობით, მაგრამ ის დაკარგულია განათლებით, კულტურით და საქართველო და აჭარა თითქმის ორი სხვა და სხვა ქვეყანაა. ერთი წინ მიიწევს, შრომობს, ევროპას შეხარის, მასთან ერთ ხლოებას ცდილობს, ევროპიულ კულტურას ეწაფვის, ევროპიულ ტექნიკის გადმონერგვას ხელს უწყობს და განათლებასა და ევროპიელობაში ხედავს ბედნიერებას, მეორე გაქვავებულია, ევროპას ზურგს აქცევს, აზიას შეჰყურებს, გაბაასებულებს, შეოცლას გაურბის. ცხოვრება მისი მდარეა, ცხოვრების—ეკონომიური პრობლემები მიმაპატარი.

ლეს აჭარა საქართველოს ნაწილია, მაგრამ ეს პროვინცია ძირიანათ განსხვავდება საქართველოს დანარჩენ ნაწილებისაგან, რაც ეგმთავრესია, პსიქოლოგიური ვითარება ოლქისა ისე დახლართულია და ისეთ თაკისებურებას იძლევა, რომ ჩვეულებრივი თვალებით დაფასება აქაურობისა და ჩვეულებრივი მართველობის შესაძლებობის აღიარება კატასტროფიული იქნება ოლქისათვის, მაშასადამე მთელი საქართველოსათვის.

აჭარა თითქმის სულიერათ ჩვენთან არ არის, უჩინარი, მაგრამ მაგარი ძაფებით არი გადამბული მცხოვრებთა სულიერი ლტოლვა ქემალის მოქმედებასთან აშკარაა და ბევრის მეტყველი ყოველი რაც ხდება.

ქემალის ბანაკში პოლიტიკური კომბინაციების ახალი ახაზვა, თუ სტრატეგიული ხლართებას უეცარი გადასინჯვა, მუსულმანურ ქვეყნების ეროვნული განზრახვანი თუ ბალშევიკურ რუსეთს პოლიტიკური გეგმები ყველა ეს ელვის სისწრაფით მათში ვრცელდება, გამოხმაურებას პოულობს. ხარებს თუ აღონებს, მოლოდინის გრძნობაში აქვავებს და მათ სახეს უაზრო და გამოუცნობელს ხდის. ოლქისა ეთი სულიერი განწყობილება ჩვენ მა მთავრობამ უნდა იცოდეს.

ოლქში თითქმის ძველებურათ ნავარდობენ ტყუპი, ქემალ-ლენინის აგენტები და პოხიერ ნიადაგზე შხამს ანთხევენ: ქემალი ძლიერია, გაწრთვნილი ჯარი, რომელიც ყოველ დღეს ივსება მოხალისე ასკერებით, უცდის ხელსაყრელ დროს, რომ ჩვენ მიჯნას ვამოსცალდეს, მაჰმადიანებს თავისუფლება მოანიჭოს, ჭოთა მთავრობას ძალე აუჯანყდენ, დღესაც ებრძვიან მას და ნურიფაშაც მალე იძულებული გახდა დაღესტანი მიეტოვებინა.

აზერბეიჯანში აჯანყებები არ თავდება; ოსმალნი, რომელნიც ბოლშევიკების შემოსვლას იქ ხვლს უწყობდენ, დღეს აზერბეიჯანიდან განდევნილი არიან, იქ წითელ არმიელი ბატონობს და წინანდელ «მესტუმრეს» აღარად სთვლის ასევე მოხდება მაშინ როცა წითელი კალია მცირე აზიაში შესდგამს ფეხს და კისერზე შეადგამს რუსის ქუსლს იმას, ვინც ახლა მას თითქოს ეპატიჟება თავის უბედურ სახლში. წითელი კალია თავის იმპერიალისტურ-ნაციონალისტურ ზრახვებს, თავის ველურ ინსტიქტებს გამოამჟღავნებს მცირე აზიაში და მაშინ თავიდან დაიწყება რუს-ოსმალთა ჭიდილი, მაშინ დაიშლება ენვერ-ფაშის და მოსკოვის უდღეური კავშირი. ამას ჩვენ აუცილებლად უნდა ველოდეთ, ეს უტყუარი საქმე არის, მანამდე კი უნდა ვეცადოთ თავიც გადავირჩინოთ, მეზობელსაც გადარჩენა და სულის შენარჩუნება ვუსურვოთ და ხელი შეუწყოთ.

რუს-ოსმალოს კავშირის დაშლას ჩვენ მოვესწრებით, ოღონდ მაგარი დასაფიქრალი ის არის, თუ როგორ მივიტანთ მანამდე თავს, როგორ გათავდება არარატის ტრაგედია! მერმე კი რუს-ოსმალოს კავშირის საქმე წახდება, და იქნება ისევ გავიგონოთ:

«თათარი და რუსი ჩხუბობს,
იგივ არის ორივ ეში»-ია!

ვ. სე-ლი.

რუს-ოსმალოს კავშირი.

ისტორიამ ჯერ არ იცის ასეთი კავშირი, პირიქით: ,,თათარი და რუსი ჩხუბობს, იგივ არის ორივეში''-ო, მღეროდა ჩვენ ხალხი და არც უსაფუძვლოდ. ოსმალოს რუსი მუდამ სძულდა და სძულს არა იმიტომ, რომ ერთი ოსმალო და მეორე რუსია; არა, ამას დიდი ისტორიული და ეკონომიური საფუძველი ჰქონდა. ათასნაირად დახლართული „ახლო აღმოსავლეთის საკითხი" ყოველთვის ხელსახვევად ჰქონდათ რუსეთის იმპერატორებს; აია—სოფიის ჯამეზე აღმართული ნახევარ მთვარის ნიშანი ყოველთვის საბაბათ გამოჰქონდათ რომანოვებს და იძახოდენ: წმინდა სოფიოს სობოროში მართლმადიდებლობა ბრწყინავდა, ბიზანტიელთა პირდაპირი მემკვიდრენი ჩვენ, რუსები, ვართ, კონსტანტინეპოლის ოსმალთა მიერ აღების დროს წმინდა სოფიის ტაძარში ბერძენთა არქიმანდრიტმა აღაავლის წმინდა კარები მიიხურა და წირვა შუაზედ შესწყდა; ჩრდილოეთით უნდა მოვიდეს მართლმადიდებელი ხალხი და შეწყვეტილ ღვთის მსახურებას მაშინ დაასრულებს კარის მიმხურველი არქიმანდრიტი; წმინდა აღსავლის კარებს ის ხელ-ახლა გამოაღებს და მრევლს დაენახვება, დღეს კი მართლმორწმუნეთ ემალება აია-სოფიის კედლებშიო. ასეთი არის ლამაზი ლეგენდა, ასეთი არის სტამბოლისკენ ლტოლვის ერთ-ერთი საბუთთაგანი.

ნამდვილად კი ჩვენ ვიცით, რომ რუსეთის იმპერია თავის საზღვრების გაფართოებას მუდამ აღმოსავლეთისაკენ და აღმოსავლეთისაკენ დაეძებდა. თითქოს აქ იყო რუსის ხალხის მოწოდება, როგორც კულტურთრეგერისა, როგორც აღმოსავლეთისკენ ,,ევროპიულ განათლების'' შემტანისა.

შედარებით ახალგაზრდა რუსის ერი თავისი იმპერატორების წინამძღოლობით მუდამ ხელს იშვერდენ შავი ზღვისკენ, სტამბოლისკენ, სპარსეთის ყურისკენ და თვით შორეულ აღმოსავლეთისაკენაც. რუსეთის იმპერია ზღვებში გასავალ ადგილების ძებნაში ათენ-აღამებდა ორასი წლის განმავლობაში, მაგრამ მე-XIX-ე საუკუნეში მას რამდენჯერმე გადაეღობენ გზაზე საფრანგეთ-ინგლისი, განსაკუთრებით ინგლისი და ნება არ მისცეს რუსეთს ,,ავათმყოფი კაცისთვის''.—ოსმალეთისთვის, არა თუ სტამბოლი წაერთმია, არამედ ცოტა რაღა მაინც წაეგლიჯა. ყირიმის ომის დროს ასეთი ცდა რუსეთს ძვირად დაუჯდა. თვით რკინის იმპერატორი პირველი ნიკოლოზი ამ საქმემ თან გადაიტანა. აბა უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომის დროსაც ხომ რუსის მძლავრი ქუსლი სტამბოლს შვიდ ვერსზე მიუახლოვდა, ზარბაზნების გრიალი სტამბოლს უკვე კარგად ესმოდა, მაგრამ სან სტეფანოში მას წინ ევროპა გადაეღობა და ,,ავათმყოფი კაცი'' არ შეაწუხოვო მოს ხოვა.

ასეთია მოკლე ისტორია ამ საქმისა. ამ ისტორიამ იცის რუს-ოსმალთა მუდმივი ჭიდილი, ისტორიამ არ იცის ამათი კავშირი. ახლა კი საიდან გაჩნდა ზეკით მანანა, საიდან ჩამოვარდა ,,ქვეყანასა-ზედა მშვიდობა და კაცთა შორის საეროება'', საიდან შეიქნა შესაძლო „ალიეის'' და ,,ივანე რუსის'' დაძმობილება! საკვირველი ქვეყანაა! არაფერი არის და არც ეს კავშირი უნდა გვაკვირვებდეს, მხოლოდ რამდენად მჭიდრო, რამდენად ბუნებრივი, რამდენად დღეგრძელი იქნება ეს კავშირი, აი ეს საკითხები არის ჩვენთვის საინტერესო.

პოლონეთის საზღვრებზე თავ-პირ დაფარცხული წითელი არმია ახლა რუსეთში ბრუნდება და მან უსათუოდ სამხრეთ-აღმოსავლეთს უნდა მიაწყდეს: ბალშევიზმი სისხლის წვიმებით საზრდოობს, წითელი კალია დაეძებს საზრდოს წვრილ ერთა ბუდეებში შესევით და დღეს მას ერთად ერთი ადგილი რჩება: გზა სამხერეთ-აღმოსავლეთისკენ. აქ კი ის უნდა შეუკავშირდეს მცირე აზიაში მოხეტიალე მუსტაფას, რომლის ქვეყანა დღეს მსოფლიო ომმა განადგურებამდე მიიყვანა და წითელი დროშის ქვეშ თავის შეფარება აფიქრებინა, იმ წითელ დროშისა, რომლის ერთი წამოჩენება, რომლის ხსენება ოსმალეთში სიკვდილს ამეფებდა, საშინელ სისასტიკეს იწვევდა თავისუფალ მოაზრეთა მიმართ. თითქოს ბუნებრივად შეკავშირდენ წითელი რუსეთი და მუსტაფა მცირე აზიელი, თითქოს საერთო გზა აქვთ: ახლა ისინი სომხეთს უპირებენ გასრესას და ბაქოში ერთად ყოფნას ეპირებიან, მაგრამ აქ დაიწყება დასასრულის სათავე. საკმაო იქნება მუსტაფამ თავისი თვალით ნახოს ,,ივანე რუსი'', რომ ივრძნოს და გაიგოს ამ კავშირის არაბუნებრივობა, მთელი უნიადაგობა.

მთაში, სადაც ნური-ფაშა ,,ოლვაწე ბდა'' და ბალშევიკებს ეპატიჟებოდა დაღესტანში საბჭოთა სამოთხის შესაქმნელად, როგორც ვიცით, ასეთი ამბავი მოხდა: საბ-

მათ მტერთ კი სასიკვდილო სარეცელი განუმზადოს—ასე ჩასჩურჩულებენ.

ა იერ კავკასიის გამოცანა კვლავ აღმართულია ქემალის წინაშე და ქემალი მის გადაჭრას არ გაურბის და ის გადაჭრილი იქნება. ამის თავდებია ქემალის ძალა და ის დახმარება, რომელსაც დიდი მოსკოვი მას უწევს. მოსკოვი ქემალის მეგობარია და ბალშევიკებიც ამავე ჰანგზე მღერიან და ქემალისტებთან ერთად ჩვენი ხალხის წინააღმდეგ გულმოდგინეთ იღწვიან. ოლქში ჩვენი საწინააღმდეგო მუშაობა სწაროებს, ესეც უნდა იცოდენ.

ოლქი მოწყვეტილია ბათომზე, ოლქში მოგზაური ისეთ შთაბეჭდილებას მიიღებს, რომ რაღაც სხვა ოლქში შეხვედი, ვერ აჭნევს რამე კავშირს შემაერთებელს ბათომთან, ოლქი მექანიკურათაც არ არის შეერთებული ცენტრთან, ოლქში წარგზავნილი კომისრები ვერ გრძნობენ მეთვალყურეობას ოლქის მმართველობისა, ოლქში არის ,,კუთხე, რომელსაც ქართული ფული არ ენახავს და იქ სხვა ქვეყნის ფული ტრიალებს. ოლქში მიმოსვლა გაძნელებულა, თითქმის შეუძლებელია. ოლქი თითქმის ჩვენი არ არის, ის კი უნდა იყოს ჩვენი.

ყველა, ვინც ოლქს თვალს გადაავლებს, ოლქის ყოფას ჩაუკვირდება, მცხოვრებთა გულში ზერელეთ ჩაიხედავს, დაინახავს, რომ ოლქი განსაკუთრებულ მდგომარეობაშია და აქ განსაკუთრებული მმართველობისა დაწესებასა და მოწყობას სახელმწიფოებრივი ინტერესი გვიკარნახებს.

მთავრობამ აღუთქვა, დამფუძნებელი კრება აღასტურებს, რომ აჭარას ავტონომია მიეცემა, მაშასადამე ორივე ჩვენ ემ ლეს დაწესებულებათლათ წარმოუდგენია განსაკუთრებული მმართველობის შემოღების აუცილებლობა, მაგრამ თუ ეს საჭიროა საზოგადოთ დღეს, როდესაც ცხოვრების ყოველ დარგში ბევრი რამ სახელდახელოთ უნდა გაკეთდეს, რის გადადება არ შეიძლება და რის გაუკეთებლობა ოლქს საფრთხის წინაშე აყენებს. დღეს ოლქში განსაკუთრებული კოლეგიალური მმართველობა უნდა დაწესდეს და ,,თელი საღდეისო მართველობის გეგმა და მისი გატარება განსაკუთრებულ მმართველობას უნდა დაეკისროს. სანამ უმთავრესი არ გაკეთდება, სანამ ოლქი არ გაიწმინდება არ არის ნორმალური მდგომარეობა და ნორმალურ მმართველობაზე ლაპარაკი ბოროტება იქნებოდა. ყველა უწყებას ყავს წარმომადგენელი, (თუ ისინი არ ვარგა ,,ხალი დაინიშნონ) საჭიროა მათი მუშაობის გაერთიანება, ერთ კოლეგიაში თავის მოყრა, განსალზვრულ კალაპოტში ჩაყენება და განსაკუთრებული მოვალეობის დაკისრება. ყველა მოხელის აქ მუშაობა პასუხსაგებია, ყველა მოხელეს აქ დანიშვნა არ შეიძლება. ერთი, არა თუ ბოროტი, უხერხული ნაბიჯი მოხელესი სცემს ჩვენი მთავრობისას პრესტიჟს და ჩვენ სახელმწიფოს დიდ ზიანს აყენებს. აქაურ მოხელეთა განსაკუთრებულ პირობებში ჩაყენება აუცილებელია, ამას ჩვენი სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვს. ვიცით, ასეული მილიონები იხარჯება ბათომის ოლქზე, დაიხარჯოს ათეული მილიონებით მეტი, საქმე გაკეთდება, თორემ ასეული მილიონიც წყალში გადაყრილი დარჩება. ოლქში განსაკუთრებული მდგომარეობა, განსაკუთრებულ, უსათუოდ კოლეგიალურს მართველობას მოითხოვს; აქ განსაკუთრებულ ერთგულ მოსამსახურეთა მუშაობა გვესაჭიროება, ისინი განსაკუთრებულ პირობებში უნდა ჩავაყენოთ. ბათუმის ოლქს მეტი მზრუნველობა, მეტი ყურადღება სჭირია.

ა. ძაღთარაძე.

ქრონიკა.

14 ოქტ. სალამოს შესდგა ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის სხდომა ბ. ჭედიას თავმჯდომარეობით. კომისიამ მოისმინა მოხსენება ქალაქისა და სასურსათო განყოფილების კასების გასინჯვისა.

კომისიამ დაადგინა: შეუდგენ ქალაქის წისქვილის რევიზიას. დაინიშნოს 15 ოქტომბერს დილის 8 საათისთვის ყველა ფურნეების დავლა და პურის ნიმუშების აღება. მიღებულ იქნას ზომები დაუყონებლივ, რომ პურის ხარისხი გაუმჯობესდეს. თუ მეფურნეები შენიშნულ იქნენ დაუდევრობაში და პურის გამოცხობის საქმეში ბოროტმოქმედებაში მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნას მიღებული.

შავი ჭირი თანდათან კლებულობს ბათომში. აგერ მეორე კვირეა აღარავინ გამხდარა ავათ. ქალაქის გამგეობის მედიკო სანიტარულმა განყოფილებამ უკვე სამსახურიდან დაითხოვა ორმოც (40) კაცამდე, რომელიც შავი ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად მოწვეული იყვნენ, თანდათან მცირდება აძისი შტატი.

სომხეთის რესპუბლიკის ბათომის გენერალურ კონსულს ცნობა მოუვიდა, რომ ის პირნი, ვისაც შავი ჭირის საწინააღმდეგო აცრილი არა აქვთ, სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაშვებულნი არ იქნებიან. საკონსულომ წინადადება მიიღო სომხეთის მთავრობისაგან ასეთ პირებს სომხეთში შესვლის ნებართვა არ მიეცეთ.

გუშინ სხდომა ქონდა საადგილ-მამულო კომისიას, რომელმაც განიხილა საკითხები სხვა და სხვა ხელშეკრულებათა შესახებ და ქალაქის იჯარით გაცემულ მამულზე საიჯარო ფასის დაწესების შესახებ.

შავი ჭირი გუშინ იყო ერთი შემთხვევა შავი ჭირი.

კოოპერატივ «მომხმარებელში» ძალიან გახშირებულია ქურდობა. დღე არ გავა რომ ვინმეს ჯიბიდან რამე არ ამოაცალონ. ამ ორ დღის უკან ვილაცასთვის, მოუპარავთ ოქროს საათი. საჭიროა ვისგანაც ჯერ არს ამ ქურდ-ბაცაცები თავგასულობას მიაქცეს ჯეროვანი ყურადღება.

ახალი გაზეთი 18 ოქტომბერს თბილისში გამოვა ყოველკვირეული გაზეთი ,,ცისფერი ყანწელების" ,,ბარიკადი".

ქალაქის სკოლები.

ჩვენი გაზეთი თანამშრომელი ესაუბრა ქალაქის გამგეობის წევრ ბ-ნ გოგოლაძეს ქალაქის სასკოლო საქმეების შესახებ. ბ-ნმა გოგოლაძემ შემდეგი გადმოგვცა:

ქალაქს აქვს ამ ჟამად შემდეგი პირველ დაწყებითი სკოლები: ბერძნებისათვის, სომხებისათვის, ებრაელთათვის, რუსებისათვის, ქართველ მაჰმადიანებისათვის და ქართველებისათვის (მართ.) წრეევანდელ სასწავლო წლამდე ამ სკოლებში არსებობდა შემდეგი კომპლექტები: ბერძნებისათვის შვიდი კომპლექტი, სომხებისათვის ექვსი, ებრაელთათვის ოთხი, რუსებისათვის ხუთი და ქართველებისათვის ექვსი.

წელს მდგომარეობა ერბაშად შეიცვალა. ქალაქის სკოლებს დიდძალ-მოსწავლეები მოაწყდა, განსაკუთრებით ბერძნები და სომხები. ბერძნებმა თავიანთი სკოლა დაკეტეს, სადაც ექვსას ორმოცამდი ყმაწვილი სწავლობდა, ასე მოიქცენ სომხებიც.

თუ წინათ მთელი თორმეტი წლის განმავლობაში ქალაქს შეეძლო გაეხსნა ახალი კომპლექტები: სომხებისათვის ექვსი და ბერძნებისათვის 7, ეხლა საჭირო შეიქნა ერთბაშად ბერძნებისათვის ათი და სომხებისათვის ექვსი. ამ გარემოებამ მეტად გაართულა სასკოლო საქმეები და ქალაქის გამგეობა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. ეროის მხრივ საქმე გაართულა სკოლებისათვის გაჭოსადეგარ და საკმაო ბინის უქონლობამ და მეორე მხრით კი ქალაქის ფინანსიურმა კრიზისმა.

ქალაქის გამგეობამ ყოველივე ღონე იღონა რომ ბავშვები სკოლის გარეთ არ დარჩენილიყვენ, ამისათვის მან გადაწყვიტა გაეხსნა ჯერ-ჯ რობით: ბერძნებისათვის ხუთ კომპლექტიანი, ქართველებისათვის ხუთ კომპლექტ. და სომხებისათვის ხუთ კომპლექტიანი. შესაფერი დადგენილება ამის შესახებ უკვე მიღებულია ქალაქის საბჭოსაგან.

იმედი გვაქვს, როგორც კი ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა გამოუმჯობესდება, ქალაქი გახსნის საჭირო სკოლებს, რომ შეეძლოს მოათავსოს ყველა სწავლის მსურველი. მდგომარეობის გაუმჯობესება შეეძლო ბერძნების და სომხების ნაციონალურ საბჭოებს სასკოლო ბინების აპირებენ სასკოლო ბინის დაბლა ,,ალთუნის" გადმოცემას, რაც საშუალებას მოგვცემს ორ წყება მეცადინეობის დაწყების რვა კომპლექტით, დანარჩენი კომპლექტები სომხების სკოლებისა მოთავსებული იქნებიან უმოლლეს დაწყებითი სასკოლო შენობაში. სომეხთა ბავშვები დღესაც ამ სკოლაში მეცადინეობენ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ხუთი კომპლექტი, ვინაიდან საკმაო რიცხვი მასწავლებლებისა სომეხთა სკოლას ჯერ არა ყავს. ადგილობრივ სომეხთა ნაციონალურ სკოლის გამგე თბილისში გაეგზავრა მასწავლებლების მოსაწვევათ. ბერძნების სკოლა დღემდე კიდევ ვერ მეცადინეობს, ამის მიზეზი ბინის უქონლობა გახლავთ, რომლის შოვა ძლიერ გაჭირდა, მაგრამ ძლიერ მალე ეს ყველა მოთავსებული იქნება კარგ შენობაში და კარგ ალაგას. პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ გაითვალისწინა რა ქალაქის გაჭირვებული მდგომარეობა სკოლებისათვის ბინების უქონლობის გამო, ჩემი შუამდგომლობა, მათ მიერ აღებულ ყოფილ კომერციული კლუბის შენობის დათმობის შესახებ დააკმაყოფილა, ამ რიგათ ზემოხსენებული შენობა ქალაქის ხელში გადმოვიდა და მცირე შეკეთების შემდეგ აქ დაიწყებს მეცადინეობმს ბერძნების სკოლა. ამ რიგათ ქალაქის ის სკოლები. რომელნიც ჯერჯერობით სხვა და სხვა ტეხნიკური მიზეზების გამო თუ ვერ მეცადინეობენ ამ მოკლე ხანში დაიწყებენ მეცადინეობას.

ამოღნაკვნესი.

ბათომი, ბათომი!
მშვენიერი, ტურფა ბათომი!
ოქროს ვერძის ოქროს კარი!
ისევ ვიხილე—
— ,,ჩვენი ბათომი".
რევოლიუციის ძველი აკვანი!
თავისუფლების პირველი ამონაკვნესი.
აქ იშვა სოციალიზმის პირველი სხივი.
აქ დაჭკრა ყავარჯენი ბოროტსულს ქართველმა მუშამ, მისმა მარჯვენამ და ქვესკნელი გაუთხარა სიბნელეს და უსამართლობას.
ბოროტებით აღსილ, სისხლით ნაზიარებ შავ დროს აქ აენთო ბრძოლის პირველი ქურა, ქართველი მუშის გმირობის მემატიანე-ბარცხანაში რომ ჩაღდება!
ამ პირველ ქურას აღტაცებით შემოესიენ თავისუფლების გვირგვინის პირველი მჭედელნი.
ახლა ცხოვრების მეჩაქუჩენი!
მათ დაჭკრენ მონობის ჯაჭვს ჯერ ფრთხილათ, მოხერხებულათ...
შემდეგ შრომის ორთქლში იშვენ ახალი მებრძოლნი და მალე არემარეს მოედო საბედისწერო ბრძოლის საშინელი გრიალი.
დაჭკრა საათმა! გაჩნდნენ გმირები.
შეინძრა ქვეყანა! გაჩაღდა ომი!..
მიდის დრო და ჟამი.
დროთა ბრუნვა გულცივობით ცვლის წლებს, ხანებს!
ახალი შეუბრალებლათ ცელავს ძველს და ჩვენს მეხსიერებაში აწყობს მოგონებას მოგონებაზე.
ბათომის სილმაზემ მეც გული გამითბო ტკბილი მოგონებით.
საოცნებო და სამუდამოთ დაკარგულ წარსულით.
ეს იყო ოცი წლის წინეთ...
ბავშვური აღტაცებით მებრძოლთა გუნდებს თავს ვევლებოდი.
სიყვარულით ვეამბორებოდი.
ღმერთო ჩემო, რა იყო მაშინ და რას ვხედავ ეხლა!!
მარადისობის ულმობელ კანონს შეუჭამია ჩემი ძალა და აღტაცებანი.
ცხოვრების საიდუმლო ლოღიკას აკორთქნებია ჩემი იდეალისტური ოცნებანი.
მაშინ ოქროს ფრთებს რომ ვასხამდი და ზღაპრულათ საოცნებო რაშზე რომ ვახტუნებდი!..
აქაურობის მშვენიერებაში დაქანცული სული გრძნობს ბუნების სილამაზეს და ისვენებს წარსულის მოგონებით.
ითხოვეთ ყური ამ მოგონებას!
გაქვავებულ გულში გამონახეთ სიყვარულის დარჩენილი ნაპერწკალი.
სული ითხოვს აღსარებას!
აქ უნდა მოვიყვირო ის, რაც ჩუმათ მტანჯავს და განუკურნავი ტკივილით მაწვალებს.
გული ჩემი, ოცი წლის წინეთ აქ ლომურ ძალას რომ ეხეთქებოდა, ეხლა სამარეთ გადაქცეულა.
ბრძოლის ჟინის სამარეთ!! ვსტირი მარტო და ჩუმათ ვღვრი უიმედობის ცრემლებს.
გულმოკლული ვყლაპავ ჩემს ნაღველს!
ოხ! რა შარბათი იყო ბრძოლის პირველი ყიჟინა და რა მხამიანია ეს ცრემლები!!
საფლავი.. სამარე!
მაგრამ.. მე ისევ მაქვს ცხოვრების იმედი.
ეკვის მატლს ჯერ მთლათ არ გადაუხრავს ჩემი სიცოცხლის ხე.
ლამაზ ბათომის თაიგულებში მე მინდა გამოვამთელო ეს ხე და აღვადგინო სიცოცხლის წყურვილი.
ამწვანებულ ზღვაზე ცქვრით უნ-

და განვიკურნო დაღლილ სულის ღრმა იარები.

ნაზობაში მომღიმარე მაგნოლიებიხ ცვარით უნდა მოვნამო ჩემი განწირული ფიქრები,

რა კარგი სიცოცხლე, რა ლამაზია ბუნება!!

ზღვის ტალღებს კოხტათ თამაშებიან თეთრი გემები.

მზის ოქროს სხივებს ათასფეროვან ბრილიანტებათ გადაუშვებენ უფსკრულისაგან მშფოთარე ზვირთების უკანასკნელი ნაშხეფები.

ნაპირის თეთრ ქვებში ვგდივარ და შეშლილივით ვესაუბრები მათ მუნჯურ ენას.

გულმოკლული ვუცქერ ზღვის წყალთა გარდაუვალ სივრცეს, მიდამოებთან ნათესავური გრძნობით შეპყრობილი შეყურებ, ბჟარის ქედის საიდუმლო კალთებს, სადაც წინეთ, ცხოვრების ეკლების უცნობი, ნატვრის თვალს დავეძებდი, დალონებული ჩამოუველი ბრძოლის ძველ ბილიკებს, ბარცხანით რომ თავდებოდა და ვფიქრობ:

— საფლავი. სამარე...

მერე?! იქ ხომ ნატვრის თვალი განისვენებს!!

მასში ხომ იმედიანი წარსულის უწმინდესი მოგონება ინახება.

იქ არის ჩამარხული ჩემი საუნჯე, ჩემი ლამაზი წარსული!

ჩემი სიცოცხლის წიგნი, ოქროს ასოებით დაწერილი!

ეხლა ბათომის ნახვაზე ასე ლამაზათ რომ გადიშალა!

დავხუჭავ თვალებს და სანახევროთ მოხრილ ტანში სიამოვნების ერუანტელი გამიელვებს.

ჩავეკონები ამ წიგნის ფურცლებს, ჩავეხუტები ჩემს გულში ჩამქრალ ბრძოლის ქურას, დავსტკბები იმედებით შეპყრობილ ახალთაობის ბრძოლის სილამაზით და მაშინ მეტის სიძლიერებით და აღტაცებათ შემიყვარდება ჩემი უკანასკნელი იმედი—

„ჩვენი ბათომი!“

ნიგოლითელი.

ქემალისტების თავდასხმა სომხეთზე.

სომხეთის რესპუბლიკის ბათომის გენერალურ საკონსულოს 15 ოქტომბრის ცნობა.

ფრონტზე.

მერდენიკის მიმართულებით სოფ. დემურკაპის რაიონში დილით 14 ოქტომბერს ჩვენი ქვეითა ჯარი, უხმოდ შიუახლოვდა მტრის პოზიციებს და მოულოდნელი თავდასხმით აიძულა თავისი პოზიციები დაეტოვებია, ბრძოლა გრძელდება. მტერის მხრით ამ რაიონში არტილერია მოქმედებს.

სარაყამიშის მიმართულებით 13 ოქტ. შეტევაზე გადმოსულ ოსმალთა ჯარებმა გაარღვიეს ჩვენი ჯარების მარჯვენა ფლანგი და დაიკავეს სოფ. გიარმალი და კარახაჩის მთა, მაგრამ ჩვენი ჯარების, რომელიც დასახმარებლად იყვენ გამოგზავნილი, მკაცრი კონტრ-იერიშით უკუგდებულ იქნენ.

ჩვენ დავიკავეთ კარახაჩის მთა, სოფ. გიარმალი და წმ. ილიას მთა (ზიარეთ) და ყოფილი მდგომარეობა აღვადგინეთ.

ოსმალთა მხრიდან მოქმედებდა სამ ბათალიონამდე ქვეითა ჯარი 2 ზარბაზანით და სუვარის ესკადრონი.

13 ოქტომბერს ჩვენმა მფრინავებმა ბომბები გადმოყარეს სოფ. დოლბანუზე.

ყაგიზმანის ქურთები 13 ოქტომბერს ნაშუადღევს თავს დაესხენ სოფ. ზადიმ-ხალილს. მცხოვრებთა დასახმარებლად ჯარები გაიგზავნა.

სხვა და სხვა ცნობები.

საგარეო საქმეთა სამინისტროში მრავალი ცნობები მოდის, რომ მობილიზაცია კარგად მიმდინარეობს.

საქართველოში გაეგზავრენ სომხეთის რესპუბლიკის სრულ უფლებიანი წარმომადგენლები მამიკონიანი და ხაჩატურიანი საქართველოს მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

წერილი ლიმანიდან.

«ბათომის ფურცელს».

(თარგმანი თურქულ ენიდან).

ნაპირზე ხშირ-ხშირად მოდიან ლაზები და გვირჩევენ გაბოლშევიკებას. საერთოდ საზღვარზედ თავისუფლად გადმოდიან და გადადიან ყველანი. ბათომიდანაც მოსულიყვენ ამ დღეებში ვიღაც სტუმრები, რომლებიც ხმას ავრცელებენ-საქართველოს მთავრობა ავტონომიას არ იძლევა, მეჩეთებს ანგრევს, რისთვისაც მას თურქმა ომი გამოუცხადა. ხალხს ეუბნებიან, რომ თურქმა სომხეთის დამხობის შემდეგ თბილისი აიღო, ახლა არტაანში დიდი ომია, ვისაც შეგიძლიათ გამოდით სარწმუნოება დავიცვათო.

იდრის კურცხალაძე.

უცხოეთი.

გერმანია.

ბოლშევიზმი და გერმანია.

ლეიპციგის სახალხო სახლში 12 სექტემბერს საქსონიის დამოუკიდებელ სოციალისტური პარტიის კრებაზე, რუდოლფ გილფერდინგმა მოსკოვის ტირანიის წინააღმდეგ გაილაშქრა.

სხვათა შორის გილფერდინგმა სთქვა: „რუსეთის ქცევა აიხსნება ამ რიგად: ბოლშევიკებს უნდათ დახმარება დასავლეთ ევროპის პროლეტარიატისაგან, რაც გამოიხატებოდა იარაღის გადაზიდვის უარის თქმაში, ან და ანტანტასთან აშკარა ბრძოლაში. ამიტომ მათ სურთ გამორიცხული იქმნენ ე. წ. „მეშარჯვნეები,“ რომელთაც ისინი გერმანიის პროლეტარიატის ტორმაზათ თვლიან. გერმანიის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ნათლათ გვიჩვენებს, რომ მათ სურდათ გამოეწვიათ ომი სიფრანგეთთან.

ჩვენ ყველა ძალებით ვსცდილობთ ხელი შეუშალოთ პოლონეთისათვის სამხედრო მასალების გადაგზავნას, მაგრამ ჩვენ საბაბი არ უნდა მივსცეთ ფრანგებს გერმანიას შეესიონ.

სხვაგან კი სამწუხაროთ ხთება სულ სხვა.

მარსელში მაგალითად დიდ კრებაზე გადასწყვიტეს შეუერთდენ მესამე ინტერნაციონალს, მაგრამ არავითარი ზომები არ მიუღიათ პოლონეთისთვის სამხედრო მასალის ტრანსპორტების გაგზავნისათვის ხელის შესაშლელათ.

სიმპატიების ასეთი გამოთქმა ძალიან მცირე ფასი აქვს (ხმები: „მართალია.“)

ომი საფრანგეთთან, რომელიც სურთ გამოიწვიონ კომუნისტებს, დიდ ზარალს მოუტანდა არა მარტო გერმანიის, არამედ საერთაშორისო შუამთა მოძრაობასაც. საკმაოა საფრანგეთმა დაიკავოს მდ. მაინის ხაზი, რომ სამხრეთ გერმანიის რეაქციონერმა ბცხოვრებლებმა სცადონ ჩამოსცილდენ ბლოკადისაგან დასუსტებულ, განიარაღებულ და მასთან სამოქალაქო ომის პირზე მდგარ გერმანიას.

ასეთი პოლიტიკა არის ბოროტი თამაში „va banque.“ ამიტომ ჩვენ უნდა დავიტოვოთ უფლება თვითონვე გამოვამუშავოთ ჩვენ პოლიტიკა, გიბნობის ოქროს რესეთზე ცქერა და იქიდან განთავისუფლების ცდა—სრულიად არ არის მარქსიზმი“

(„Rete Fahne“)

სარედაქციო კოლეგია.

განცხადება.

საბინაო საკითხი.

რეკვიზიციის წესები:

საბინაო განყოფილება ბინების რეკვიზიციის დროს ხელმძღვანელობს ბათომის საგანგებო კომისარის მიერ დადასტურებულ შემდეგი წესებით:

1) ქ. ბათომის მიწა-წყლებზე კერძო ბინების, სავაჭრო სამრეწველო და სხვა ყოველ გვარ სადგომების რეკვიზიციის უფლება ეკუთვნის განსაკუთრებით ბათომის საგანგებო კომისართან არსებულ საბინაო განყოფილებას.

2. სადგომის რეკვიზიცია ხწარმოებს: 1) სახელმწიფო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთათვის, 2) თანამდებობის იმ პირთათვის, რომელთა შესახებაც შუამდგომლობას აღძრავს ის დაწესებულება, სადაც ისინი იმყოფებიან სამსახურში და კერძო პირთათვის ქალაქის გამგეობის შეხედულებით.

3) დამფუძნებელ კრების წევრთათვის, 4) კოპერატივებისათვის, 5) არტელებისათვის და სხვა საზოგადოებრივ-სასარგებლო და სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათათვის, 6) საქართველოს რესპუბლიკის იმ სამხედრო ნაწილთათვის, რომელიც ქალაქში გავლით ჩერდება, 7) სამსახურის გამო ბათომში დროებით ჩამოსულ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის, 8) უცხოეთის მისიებისა, მათ სამხედრო მოხელეებისა და სამხედრო ნაწილთათვის.

3) იმ ბინების მდგმურებს, რომელთა რეკვიზიციაც ზემოაღნიშნულ მიზნით ხდება, საბინაო განყოფილება, შეძლების დაგვარათ სხვა სადგომები უნდა აღმოუჩინოს.

4) თითო მდგმურისთვის დაწესებულია თითო ოთახი; თუ კი ბინაზე მცხოვრები პირნი ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში არ არიან, ხოლო თუ ბინაზე ერთი ოჯახის წევრნი სცხოვრობენ, მათ ვისაც 4 ოთახამდე უჭირავს, ერთი ოთახი ეკუთვნის საბინაო განყოფილებას თუ რიცხვი ოთახებისა არ აღემატება მცხოვრებთა რიცხვს. ვისაც 4 ოთახზე მეტი უჭირავს-2 ოთახი ეკუთვნის საბინაო განყოფილებას; 12 წლის უმცროს ბავშთათვის დაწესებულია 3 სულზე ერთი ოთახი; მსახური, თუ მას ბინაზე ცალკე ოთახი არა აქვს მდგმურთა რიცხვში არ ითვლება.

5 რეკვიზიციის წესით ჩამორთმეულ სადგომის ფასი წესდება ურთიერთ შორის შეთანხმებით 1917 წლის 5 აგვისტოს კანონით ნაგულისხმევ ფორგლებში, საქართველოს რესპუბლიკის მიერ ახალი საბინაო კანონის გამოცემამდე.

6. რეკვიზიციისაგან თავისუფლდება ისეთი ოთახები, რომლებით სარგებლობაც აუცილებელია პროფესიონალურ საჭიროებათათვის და რომელთა ჩამორთმევითაც შეუძლებელი გახდება პროფესიის მუშაობა.

7. რეკვიზიციის წესით ჩამორთმეულ სადგომების გასანთავისუფლებლათ იქიდან გადასახლებულ მდგმურებს ეძლევათ ვადა არა უმეტეს 1 დღისა.

8. რეკვიზიციისაგან თავისუფლდება უცხოეთის მხოლოდ იმ ქვეშევრდომთა სადგომები, რომელთა მთავრობებთანაც ამ საგანზე დადებულია სათანადო კონვენცია.

9. სახლის პატრონები ან მათი მოადგილენი (გამგე, მოიჯარადრე) და აგრეთვე დამქირავებელნი, რომელნიც თავის მხრითაც აქირავებენ სადგომს, მოვალე არიან სამი დღის განმავლობაში, დღიდან ამის გამოცხადებისა საბინაო განყოფილებას აუწყონ ოთახების განთავისუფლება, ან მათში ჩასახლების შესაძლებლობა.

ამ მოთხოვნილების არ ამსრულებელნი, როგორც სახლის პატრონი, ისე ბინის დამქირავებელნი პასუხისგებაში იქნებიან მცემული სასჯელთა წესდების მე-29 მუხლის ძალით, ხოლო უკანონოთ ჩასახლებულთ ბინას დააცლევინებენ.

ქალაქის საბინაო კომისიის ხელმძღვანელი გამგეობის წევრი

ლ. ძორძაშვილი.

სარეკვიზიციო კომისიის თავმჯდომარე.

ირ. დიდიძე.

გამურელიძის ცირკი.

შაბათი, 16 ოქტომბერი.

მსოფლიო ჩემპიონატის ფრანგული ჭიდაობის გაგრძელება.

ჭიდაობს 3 წყვილი.

1) მუშა—რუსეთის ჩემპიონის ერმაკოვის წინააღმ.

2) მურომეცი—წითელი ნილაბის წინააღმდეგ.

გადამწყვეტი ჭიდაობა

3) გენჯა—ალი—უცნობის წინააღმდეგ.

ანონსი: ამ დღეებში ჭიდაობის ხელმძღვანელის სტოროშვილის ბენეფისია.

კვირას—არაჩვეულებრივი

სალამო—წარმოდგენა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა. ბ. ხ. ბ. ... ქ. № 21, ქ. ბათუმი.